ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის
ო ქ მ ი №01-06/01

დაბა ქედა, **31 იანვარი, 2025 წელი.**

სხდომა დაიწყო: 12:10 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 13:00 საათზე.

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან ესწრებოდა 14.
სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
რეზო თურმანიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან წულუკიძე - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ვაჟა აბულაძე - საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
ჯიმშერ სამნიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მერაბ ნაკაშიძე - საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
მზია ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი;
მარინა ბარამიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
ირაკლი მახარაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
დავით სირაბიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი;
მამუკა გოგოლიშვილი - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი;
ინგა ანანიძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა თებიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/01 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

31 იანვარი, 2025 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ციწაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	
21	ინგა ანანიძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ სხდომაზე დასწრეთ წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 31 იანვრის №01-06/01 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე

2. „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე

3. „ქედის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 ოქტომბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი: გენადი ანანიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: ლევან ბერიძე

4. „ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის განათლების, კულტურის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი: ნათია ბარამიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

5. ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2024 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის შესყიდვების განყოფილების უფროსი: გივი დევაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

6. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ 2024 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი: გენადი ანანიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: ლევან ბერიძე

დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ საკრებულოს წევრებს აცნობა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული იყო კიდევ ერთი საკითხი ა(ა)იპ - „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი"-სათვის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაზედაც ითხოვა წარმოდგენილ საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეეტანათ ცვლილება სხდომაზე განხილველად და წარმოადგინა №01 მორიგი სხდომის დღის წესრიგის განახლებული პროექტი შემდეგი სახით:

1. **„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე

2. **„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე

3. **„ქედის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 ოქტომბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებელი: მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი: გენადი ანანიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: ლევან ბერიძე

4. **„ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებელი: მერიის განათლების, კულტურის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი: ნათია ბარამიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

5. **ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2024 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ანგარიში.**

მომხსენებელი: მერიის შესყიდვების
განყოფილების უფროსი: გივი დევაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

6. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ 2024 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის
სამსახურის უფროსი: გენადი ანანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: ლევან ბერიძე

7. ა(ა)იპ - „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი"-სათვის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის
თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 31 იანვრის №01-06/01 მორიგი სხდომის დღის წესრიგი პროექტი.

1. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა მუხრან სალაძე საკრებულოს გააცნო „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: №95-95250293, 29.01.2025 წელი) და განმარტა, რომ ნორმატიული აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა,

საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხაში ცვლილების შეტანა კერძოდ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულ ცვლილების შესაბამისად, დადგენილებით დამტკიცებულ დანართში პირველადი სტრუქტურული ერთეულის აპარატის უფროსის და აპარატის უფროსის მოადგილის - პროფესიული საჯარო მოხელის სტატუსი იცვლება ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირის სტატუსით, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებიდან გამომდინარე - კი მიზანშეწონილია დადგენილების სათაურის ცვლილებაც და მისი კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა, ახალი დადგენილების სათაური ჩამოყალიბდება შემდეგი სახით - „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგო და საშტატო ნუსხა“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება N:1; 31.01.2025 წელი).

2. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა მუხრან სალაძემ საკრებულოს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: №95-95250292, 29.01.2025 წელი) და განმარტა რომ ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში 2024 წლის 13 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებით (დოკუმენტის ნომერი 165-Iმს-XIმპ, ვებგვერდი 29/12/2024, სარეგისტრაციო კოდი 010320000.05.001.102434) საჯარო დაწესებულებაში საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისა და მისი მოადგილის სამართლებრივი სტატუსი გარდაიქმნა, აქედან გამომდინარე ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხაში განხორციელებული ცვლილება, რის საფუძველზეც მიზანშეწონილია „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. დადგენილებით დამტკიცებული დებულების II თავის მე-4[1] მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4[1]. აპარატის შემადგენლობა

1. აპარატის საჯარო მოსამსახურეები არიან:

ა) აპარატის საჯარო მოხელე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს თავმჯდომარე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

ბ) შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – აპარატში საჯარო სამსახურის განხორციელების უზრუნველსაყოფად, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მინიჭებული აქვს დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესრულების უფლებამოსილება.

გ) ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – საკრებულოს თავმჯდომარეს ხელს უწყობს უფლებამოსილების განხორციელებაში კანონმდებლობით, ამ დებულებითა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.

2. საკრებულოს აპარატის შემადგენლობაში შედიან:

ა) ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – აპარატის უფროსი;

ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე – აპარატის უფროსის მოადგილე;

გ) მეორე რანგი საშუალო მმართველობითი დონე: მეორადი სტრუქტურული ერთეულს ხელმძღვანელი - აპარატის განყოფილების უფროსი;

დ) მესამე რანგი - უფროსი სპეციალისტი დონე: პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

ე) შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.

აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობებს, თანამდებობათა დასახელებას და საშტატო ნუსხას საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, განსაზღვრავს და ამტკიცებს საკრებულო."

ნორმატული აქტის მიღების მიზანია ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში სათანადო ცვლილების განხორციელება, რათა სამართლებრივად კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოვიდეს აღნიშნული დებულება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება N:2; 31.01.2025 წელი).

3. მოისმინეს:,,ქედის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 ოქტომბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა გენად ანანიძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ,,ქედის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 ოქტომბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95250272-95, 27.01.2025 წელი) და განმარტა, რომ ნორმატიული აქტის მიღების მიზანია „ქედის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 ოქტომბრის №16 დადგენილებაში ცვლილებების შეტანა. რის თაობაზეც გაცნობებთ, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იყო შპს „ძმები ავალიანები"-ს (ს/კ: 446757297) დირექტორის ზურაბ ავალიანის განცხადება, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთში (საკ. კოდი: 21.01.37.356) მდებარე მიწის ნაკვეთის და მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 ოქტომბრის № 16 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის ინიციატივის განხილვის თაობაზე. რომლის საფუძველზეც ქედის მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული იქნა სამართლებრივი აქტი (ბრძანება ბ94. 94240646, 04.03.2024 წ. განაშენიანების

დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 ოქტომბრის № 16 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის ინიციატივის განხილვის თაობაზე. ასევე ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ მომზადებული იქნა ტექნიკური დავალება და გაგზავნილი იქნა ინიცირების ავტორთან, საიდანაც 2024 წლის 05 ნოემბერს შემოსული იქნა განაშენიანების დეტალურ გეგმაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი განცხადებასთან ერთად. აღნიშნული დეტალური გეგმის პროექტი მომზადებულია ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესაბამისად, წინასწარ გაწერილი პირობებისა და ვადების დაცვით. წარმოდგენილი მასალები შესათანხმებლად გადაგზავნილი იყო საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ქედის რაიონულ განყოფილებაში. ორივე ორგანიზაციიდან მიღებული არის თანხმობის წერილი საგზაო დეპარტამენტის მიერ გაცემული ტექნიკური პირობების დაცვის შემთხვევაში. სამსახური მიზანშეწონილად მიაჩნია შპს „ძმები ავალიანები"-ს ხელმძღვანელის ზურაბ ავალიანის მიერ შემოტანილი განაშენიანების დეტალურ გეგმაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი დასამტკიცებლად შეტანილი იქნას მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება N:3; 31.01.2025 წელი).

4. მოისმინეს: „ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის განათლების, კულტურის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსმა ნათია ბარამიძემ საკრებულოს სხდომაზე გააცნო „ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95250282-95, 28.01.2025 წელი) სადაც განმარტა, რომ წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის შესაბამისად ხდება ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანა - რომლითაც განსაზღვრულ ქედის მუნიციპალიტეტის ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტებს დაემატა აღმზრდელის პოზიცია და განისაზღვრა მისი პროფესიული საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისად დადგენილების დამტკიცებულ დანართის მე-6 მუხლს დაემატა 1^1-ლი პუნქტი, ასევე დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ი" ქვეპუნქტი; მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში განხორციელდა ცვლილებების შეტანა და ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით ხოლო

დადგენილებიდან ამოღებული იქნა მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი რომელიც ეხებოდა ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამუშაო გამოცდილებას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება N:4; 31.01.2025 წელი).

5. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2024 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ანგარიში.

მომხსენებელმა მერიის შესყიდვების სამსახურის უფროსმა გივი დევაძემ საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2024 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ანგარიში (წერილის ნომერი: №12-95250244-95, 24.01.2025 წელი).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N: გ-95.95250313; 31.01.2025 წელი).

6. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ 2024 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსმა გენად ანანიძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ 2024 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში (წერილის ნომერი: №12-95250241-95, 24.01.2025 წელი).

აზრი გამოთქვეს:

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს რა ღირდა გარე განათების ერთი ბოძი, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ გასული წლის ერთი ერთეულის საბაზრო ღირებულება 790 ლარს შეადგენდა, ეხლანდელ საბაზრო ღირებულების ფასი ჯერჯერობით არ იყო დადგენილი.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ მადლობა გადაუხადა მერიის ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურს გაწეული საქმიანობისათვის და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სამსახურის მიერ გასულ წელს ბევრი

ინფრასტრუქტურული პროექტები იქნა განხორციელებული და მათი საქმიანობა დადებითად შეაფასა.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:g-95.95250312; 31.01.2025 წელი).

7. მოისმინეს: ა(ა)იპ - „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი"-სათვის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ა(ა)იპ - „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი"-სათვის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი №12-95250298-95, 29.01.2025 წელი) და განმარტა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია - „2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის N4 დადგენილებით დამტკიცებული „პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის ქვეპროგრამის" - ,,სოფლის ექიმის" კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების განსახორციელებლად შეიქმნა ა(ა)იპ - „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი". აღნიშნულ ორგანიზაციასთან 2022 წლის 26 დეკემბერს ორი წლის ვადით გაფორმდა უზუფრუქტის ხელშეკრულება, და მოვლა-პატრონობისათვის გადაეცა ექვსი ამბულატორია, კერძოდ: დოლოგნის, მახუნცეთის, მერისის, ოქტომბრის, ცხმორისის და დანდალოს ამბულატორიები. აღნიშნულ ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა 2024 წლის 26 დეკემბერს, რის გამოც ხელშეკრულება შეწყვეტილია და ა(ა)იპ - „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი"-სგან შემოსულია წერილი ზემოთაღნიშნული ამბულატორიების კიდევ ორი წლის ვადით გადაცემის თაობაზე.

როგორც პრაქტიკამ აჩვენა სოფლის (თემის) ამბულატორიების გადაცემამ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის ბალანსზე, დადებითად ასახვა პოვა ,,სოფლის ექიმის" პროგრამის განხორციელებაზე. საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი ერთიანი მიდგომით მუშაობს ამბულატორიების რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვისათვის, რითაც ქედის მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობისათვის გაუმჯობესდა პირველადი ჯანდაცვის მიწოდების ხარისხი და შენობების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა.

გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილია, ზემოთ ჩამოთვლილი უძრავი ქონებები, კერძოდ: დოლოგნის თემის სამედიცინო ამბულატორია 46,20 კვ. მეტრი (ს/კ21.01.31.004.01.500), დანდალოს თემის სამედიცინო ამბულატორია 110,50 კვ. მეტრი (ს/კ21.09.34.001.01.502), მერისის თემის სამედიცინო ამბულატორია 97,20 კვ. მეტრი (ს/კ21.05.33.001.01.502), ოქტომბრის თემის სამედიცინო ამბულატორია

59,20 კვ. მეტრი (ს/კ21.04.31.004.01.501), ცხმორისის თემის სამედიცინო ამბულატორია 117,0 კვ. მეტრი (ს/კ21.08.34.002.01.501) და მახუნცეთის თემის სამედიცინო ამბულატორია 157,80 კვ. მეტრი (ს/კ21.01.37.002.01.500) ორი წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს ა(ა)იპ - საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95.95250311; 31.01.2025 წელი).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 13:00 საათზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში **ნონა თებიძე**